ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 11.08.23

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 010/23

შეკითხვა:

შეუძლია თუ არა ადვოკატს ორდერის საფუძველზე მოითხოვოს კლინიკაში კლიენტის პირად ექიმთან გასაუბრება, საკუთარი მარწმუნებლის სახელით და აქვს თუ არა კლინიკის ადვოკატს უფლება, მოსთხოვოს კოლეგას მინდობილობის წარმოდგენა და არ მისცეს უფლება კოლეგას ორდერის საფუძველზე გაესაუბროს კლიენტის პირად ექიმს?

ანალიზი:

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მე-5)

ადვოკატის მთავარ ვალდებულებას კლიენტის ინტერესების დაცვა წარმოადგენს, თუმცა მას, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირს, სმაგალითოდ ევალება კანონისა და საჯარო წესრიგის დაცვა, შესაბამისად ის, რითიც ადვოკატმა უპირატესად უნდა იხელმძღვანელოს არის კლიენტის ინტერესები და მათი თანხვედრა კანონთან.

თავის მხრივ, კითხვაში აღწერილი ფაქტების გათვალისწინებით, თითოეული ადვოკატის მოთხოვნა შეესაბამება კანონსა და ადვოკატის პროფესიულ ეთიკას. ადვოკატს უფლება აქვს, ორდერის საფუძველზე მოითხოვოს საკუთარი კლიენტის პირად ექიმთან შეხვედრა, ისევე როგორც მეორე ადვოკატს აქვს უფლება, მიუთითოს კოლეგას, სპეციალური მინდობილობის ქონაზე, რომლის საშუალებითაც შეიძლება გაეცნოს ის პაციენტის პერსონალურ ინფორმაციას და მოსთხოვოს მას მისი წარდგენა.

დასკვნა:

ადვოკატს უფლება აქვს, ორდერის საფუძველზე მოითხოვოს საკუთარი კლიენტის პირად ექიმთან შეხვედრა, რაც არ ჩაითვლება ადვოკატის პროფესიული ეთიკის დარღვევად, ისევე როგორც მეორე ადვოკატის ქმედება, რომლითაც ის კოლეგას სთხოვს სპეციალური მინდობილობის წარდგენას.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.